

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2014 წლის 8 დეკემბრის

დადგენილება №1349

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების
და ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის
„სამართალმცოდნეობის“ ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, განხორციელდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „საინჟინრო მენეჯმენტი“ მოდიფიცირება.
2. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, განხორციელდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების „მეტალურგია“ (ინგლისურენოვანი), „ქიმია“ და „სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერია“ მოდიფიცირება.
3. პირველ და მეორე პუნქტში მითითებულ საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების აღწერა თან ერთვის დადგენილებას (იხ. დანართი).
4. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას „სამართალმცოდნეობას“ შეეცვალოს ხელმძღვანელი და ასოცირებული პროფესორის ზვიად როგავას ნაცვლად პროგრამის ხელმძღვანელად დამტკიცდეს პროფესორი ქეთევან ჭინჭარაძე.
5. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე